

შპს "სთარინგ ჯორჯია"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "სთარინგ ჯორჯია"
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
1 ზოგადი ინფორმაცია	9
2 მომზადების საფუძველი	9
3 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები	9
4 სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული	10
5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	10
6 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	19
7 ძირითადი საშუალებები, წმინდა	20
8 აქტივის გამოყენების უფლება	20
9 სასაქონლო მატერიალური მარაგები	21
10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21
11 ფული და ფულის ეკვივალენტები	21
12 საწესდებო კაპიტალი	21
13 საიჯარო ვალდებულებები	21
14 გადავადებული შემოსავალი	22
15 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
16 პირობითი ვალდებულებები	22
17 ფინანსური რისკების მართვა	22
18 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	25
19 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26

შპს "სთარინგ ჯორჯია"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "სთარინგ ჯორჯიას" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადეკვატური კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

თამარ ჩხაიძე

დირექტორი

ვახტანგ ტუყვაძე

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

შპს "სთარინგ ჯორჯია"

თარიღი: 17 ნოემბერი, 2025

ნინო პაპიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი ბუღალტერი

შპს "სთარინგ ჯორჯია"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "სთარინგ ჯორჯიას" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

თამარ ჩხაიძე

დირექტორი

შპს "სთარინგ ჯორჯია"

თარიღი: 17 ნოემბერი, 2025

ვახტანგ ტუყვაძე

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

ნინო პაპიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი ბუღალტერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**შპს "სთარინგ ჯორჯიას" დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს****უარი მოსაზრების გამოთქმაზე**

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „სთარინგ ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, აგრეთვე სრული შემოსავლების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციული უფროსის 2024 წლის 5 ნოემბრის ბრძანების საფუძველზე, შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზისა" და შპს "ბლექ სი არენა ჯორჯიას" გაერთიანების/შერწყმის გზით დაფუძნდა შპს "სთარინგ ჯორჯია" (სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 13 ნოემბერი). გაერთიანების/შერწყმის თარიღისათვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ორი სუბიექტის ბალანსების პირდაპირი დაჯამების გზით. აღნიშნული მიდგომა არ შეესაბამება სტანდარტის - "ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება" მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც შერწყმის მომენტში აქტივები და ვალდებულებები აღიარებულ უნდა იქნას სამართლიანი ღირებულებით. დამატებით, ფასს 3 მოითხოვს ყოველი საწარმოთა გაერთიანებისათვის ერთ-ერთი გაერთიანებული სამეურნეო ერთეული განისაზღვროს როგორც მყიდველი და იმ საწარმოსთვის, რომელიც კონტროლს იღებს შეძენილ საწარმოზე, გამოყენებულ იქნეს ფასს 10-ის მითითებები, რაც არ არის წარმოდგენილი თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებასა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგების ელემენტებში.

შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზისა" და შპს "ბლექ სი არენა ჯორჯიას" შერწყმის/გაერთიანების საფუძველზე დაფუძნდა შპს "სთარინგ ჯორჯია". შერწყმის/გაერთიანების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები წარმოდგენილ იქნა ორი განსხვავებული სააღრიცხვო პოლიტიკით აღრიცხული ბალანსების პირდაპირი დაჯამების გზით, სააღრიცხვო პოლიტიკის ერთიანი პრინციპის გარეშე. აღნიშნული მიდგომა არაა თანხვედრაში ბასს 16-თან და ბასს 8-სთან, რომელთა მიხედვითაც მოითხოვება, რომ ერთი ეკონომიკური ერთეულის ფარგლებში მსგავს აქტივებზე გამოყენებული უნდა იყოს თანმიმდევრული სააღრიცხვო პოლიტიკა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა სარეზერვო კაპიტალის მაჩვენებელზე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს "ბლექ სი არენა ჯორჯიას" საწესდებო კაპიტალში 2016-2022 წლებში შეტანილია არაფულადი აქტივები, კერძოდ, ძირითადი საშუალებები და მარაგები. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აღნიშნული შენატანების აღიარება უნდა მომხდარიყო სამართლიანი ღირებულებით, ასევე, მიღებული ძირითადი საშუალებები უნდა დაქვემდებარებოდნენ გაუფასურებაზე ტესტირებას. ჩვენ ვერ დავრწმუნდით საკუთარი კაპიტალის და მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებებისა და მარაგების აღიარებული და წარდგენილი ღირებულების სისწორეში, ვინაიდან ჩვენ არ მოგვეცა საშუალება, რომ მოგვეპოვებინა შეფასების ანგარიში და შემფასებლისგან მიგვეღო ინფორმაცია გამოყენებული დაშვებების, გაანგარიშებებისა და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ. კაპიტალში შეტანილი ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგენს 86,611 ათას ლარს (2024 წლის 13 ნოემბერი: 86,611 ათასი ლარი). მარაგების ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგენს 486 ათას ლარს (2024 წლის 13 ნოემბერი: 486 ათასი ლარი). აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთი 1,446 ათასი ლარის ღირებულებით (2024 წლის 13 ნოემბერი: 1,447 ათასი ლარი). შპს "ბლექ სი არენა ჯორჯიამ" დაიწყო მარაგების ინვენტარიზაციის პროცესი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ინვენტარიზაციის აქტში დაფიქსირებული ფაქტობრივი გარემოებები, კომპანიის მენეჯმენტის აზრით, განსხვავდება რეალობისაგან, შეთავაზებული კორექტირებები არ ასახულა ფინანსურ ანგარიშგებაში. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და 2024 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთის სისრულესა და არსებობაში. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აღნიშნული შეზღუდვის ეფექტი საანგარიშგებო პერიოდის შედეგებზე. ასევე, ჩვენ ვერ დავრწმუნდით, რომ სწორად არის გამოყენებული მარაგად კლასიფიკაციისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და საწყისი აღიარებისას სწორად ხდება ძირითად საშუალებებსა და სასაქონლო მატერიალურ მარაგებს შორის გამიჯვნა.

შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზმა" 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა, ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარების შემდგომ თვითღირებულების მოდელიდან გადავიდა გადაფასების მოდელზე და ამისთვის დამოუკიდებელი შემფასებლის საშუალებით მოახდინა მის ბალანსზე არსებული ყველა ძირითადი საშუალების ჯგუფის შეფასება სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების თარიღით. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულების ნაშთზე 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, რადგან კომპანიამ ვერ შეძლო შესაბამისი დოკუმენტების მოწოდება. დამატებით, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება ძირითადი საშუალებების გადაფასებული ღირებულების შესახებ 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით, ვინაიდან ძირითადი საშუალებების ჯგუფის შეფასება არ განხორციელებულა 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შემდეგ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა სარეზერვო კაპიტალის მაჩვენებელზე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიამ ყოველწლიურად უნდა მოახდინოს გადაფასებული ძირითადი საშუალებების რეზერვის კაპიტალში გადატანა მათი გამოყენების პროცესში ძირითადის საშუალებების ცვეთის პროპორციულად. კომპანიამ ვერ მოგვაწოდა 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით დაგროვილ ზარალში გადასატანი რეზერვის ღირებულების კალკულაცია და ჩვენ ვერც ალტერნატიული გზებით განვსაზღვრეთ აღნიშნული ღირებულება. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა კომპანიის ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვსა და დაგროვილი ზარალის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

მნიშვნელოვანი გარემოებები - რეორგანიზაცია შერწყმის საფუძველზე

ყურადღებას გამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ზე, სადაც აღწერილია, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციული უფროსის 2024 წლის 5 ნოემბრის ბრძანება #GOV32400001271-ის საფუძველზე, განხორციელდა შპს "ბლექ სი არენა ჯორჯიას" (ს/ნ 405158804) და შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" (ს/ნ 203836625) გაერთიანების გზით რეორგანიზაცია/შერწყმა და დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საფირმო სახელმწიფოებო - შპს "სთარინგ ჯორჯია" (ს/ნ 404747743). აღნიშნულის საფუძველზე შპს "სთარინგ ჯორჯია" განისაზღვრა შპს "ბლექ სი არენა ჯორჯიას" და შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" უფლებამონაცვლედ. აღნიშნულის გათვალისწინებით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 13 ნოემბრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სხვა გარემოებები

შპს "ბლექ სი არენა ჯორჯიას" და შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა. შპს "ბლექ სი არენა ჯორჯიასთვის" აუდიტორმა აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოსცა აუდიტორული დასკვნა 2024 წლის 24 ივნისს, მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველზე. მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი იყო საკუთარი კაპიტალის და მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებებისა და მარაგების აღიარებული და წარდგენილი ღირებულებების სისწორე. ასევე, აუდიტორმა ვერ შეძლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება მარაგების ნაშთის სისრულესა და არსებობაში დასარწმუნებლად. შპს "თბილისის სახელმწიფო დარბაზისათვის" აუდიტორმა ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 წლის 19 ივნისს გამოთქვა პირობითი მოსაზრება ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულების ნაშთის სისწორესა და დაგროვილ ზარალში გადასატანი რეზერვის ღირებულების სისწორეზე.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ზომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მენეჯმენტისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - "მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებითა და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 17 ნოემბერი, 2025

თბილისი, საქართველო



შპს "სთარინგ ჯორჯია"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-24	13-ნოე-24
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები, წმინდა	7	112,272	113,138
აქტივის გამოყენების უფლება	8	917	991
არამატერიალური აქტივები		236	246
სულ გრძელვადიანი აქტივები		113,425	114,375
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	1,446	1,447
საგადასახადო აქტივი		82	199
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,351	896
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	20,138	21,185
სულ მოკლევადიანი აქტივები		23,017	23,727
სულ აქტივები		136,442	138,102
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	96,429	96,429
დამატებით შეტანილი კაპიტალი	12	8,271	8,271
სარეზერვო კაპიტალი	12	37,331	37,331
დაგროვილი ზარალი		(8,244)	(8,210)
სულ კაპიტალი		133,787	133,821
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	13	382	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		382	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	13	325	701
გადავადებული შემოსავალი	14	407	2,332
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	1,541	1,248
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,273	4,281
სულ ვალდებულებები		2,655	4,281
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		136,442	138,102

თამარ ჩხაიძე
დირექტორი

ვახტანგ ტუკვაძე
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

შპს "სთარინგ ჯორჯია"
თარიღი: 17 ნოემბერი, 2025

ნინო პაპიშვილი
ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი ბუღალტერი

შპს "სთარინგ ჯორჯია"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-24	13-ნოვ-24
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები, წმინდა	7	112,272	113,138
აქტივის გამოყენების უფლება	8	917	991
არამატერიალური აქტივები		236	246
სულ გრძელვადიანი აქტივები		113,425	114,375
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	1,446	1,447
საგადასახადო აქტივი		82	199
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,351	896
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	20,138	21,185
სულ მოკლევადიანი აქტივები		23,017	23,727
სულ აქტივები		136,442	138,102
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	96,429	96,429
დამატებით შეტანილი კაპიტალი	12	8,271	8,271
სარეზერვო კაპიტალი	12	37,331	37,331
დაგროვილი ზარალი		(8,244)	(8,210)
სულ კაპიტალი		133,787	133,821
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	13	382	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		382	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	13	325	701
გადავადებული შემოსავალი	14	407	2,332
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	1,541	1,248
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,273	4,281
სულ ვალდებულებები		2,655	4,281
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		136,442	138,102

თამარ ჩხაიძე
დირექტორი

შპს "სთარინგ ჯორჯია"
თარიღი: 17 ნოემბერი, 2025

ვახტანგ ტუკუაძე
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

ნინო პაპიშვილი
ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი ბუღალტერი

შპს "სთარინგ ჯორჯია"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნა	13-ნოე-2024 - 31-დეკ-2024
შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან		203
საიჯარო შემოსავალი		154
შემოსავალი სუბსიდიებიდან		1,925
სულ შემოსავალი		2,282
ცვეთა და ამორტიზაცია	7,8	(952)
შრომის ანაზღაურება		(630)
საგადასახადო ხარჯი		(190)
კომუნალური ხარჯები		(139)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(654)
გაუფასურების რეზერვის ხარჯი		(35)
სხვა შემოსავალი		35
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(283)
ფინანსური შემოსავალი, ნეტო		242
საკურსო მოგება/(ზარალი)		6
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(35)
მოგების გადასახადი		-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(35)

თამარ ჩხაიძე

დირექტორი

შპს "სთარინგ ჯორჯია"

თარიღი: 17 ნოემბერი, 2025

ვახტანგ ტუკვაძე

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

ნინო პაპიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი ბუღალტერი

შპს "სთარინგ ჯორჯია"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნა	13-ნოე-2024 - 31-დეკ-2024
შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან		203
საიჯარო შემოსავალი		154
შემოსავალი სუბსიდიებიდან		1,925
სულ შემოსავალი		2,282
ცვეთა და ამორტიზაცია	7,8	(952)
შრომის ანაზღაურება		(630)
საგადასახადო ხარჯი		(190)
კომუნალური ხარჯები		(139)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(654)
გაუფასურების რეზერვის ხარჯი		(35)
სხვა შემოსავალი		35
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(283)
ფინანსური შემოსავალი, ნეტო		242
საკურსო მოგება/(ზარალი)		6
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(35)
მოგების გადასახადი		-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(35)




თამარ ჩხაიძე

დირექტორი


შპს "სთარინგ ჯორჯია"

თარიღი: 17 ნოემბერი, 2025



ვახტანგ ტუკვაძე

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი



ნინო პაპიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი ბუღალტერი

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(35)
არაფულადი კორექტირები:	
ცვეთა და ამორტიზაცია	952
ფინანსური ხარჯი	66
უიმედო და საეჭვო ვალების ხარჯი/(რევერსი)	35
შემოსავალი სახელმწიფო სუბსიდიებიდან	(1,925)
საპროცენტო შემოსავალი	(308)
საკურსო მოგება/(ზარალი)	(6)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის კორექტირებამდე	(1,221)
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:	
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:	
ცვლილებები სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	1
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(490)
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	117
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:	
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	293
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტამდე	(1,300)
გადახდილი პროცენტი	(66)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,366)
საინვესტიციო აქტივობები	
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	3
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	33
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	36
ფინანსური აქტივობები	
გადახდილი საიჯარო ვალდებულება	(25)
მიღებული პროცენტი	308
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	283
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ანდ ფულის ეკვივალენტებში	(1,047)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	21,185
კურსთაშორისი სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	-
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	20,138

თამარ ჩხაიძე
დირექტორი

ვახტანგ ტუკვაძე
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

შპს "სთარინგ ჯორჯია"

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ათას ლარში

13-ნოვ-2024 -
31-დეკ-2024

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე

(35)

არაფულადი კორექტირება:

ცვეთა და ამორტიზაცია

952

ფინანსური ხარჯი

66

უიმედო და საეჭვო ვალების ხარჯი/(რევერსი)

35

შემოსავალი სახელმწიფო სუბსიდიებიდან

(1,925)

საპროცენტო შემოსავალი

(308)

საკურსო მოგება/(ზარალი)

(6)

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საშუალო კაპიტალის კორექტირებამდე

(1,221)

საშუალო კაპიტალის კორექტირება:

შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:

ცვლილებები სასაქონლო მატერიალურ მარაგებში

1

ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში

(490)

ცვლილებები სავადასახადო აქტივებში

117

(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:

ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში

293

საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტამდე

(1,300)

გადახდილი პროცენტი

(66)

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები

(1,366)

საინვესტიციო აქტივობები

ძირითადი საშუალებების შესყიდვა

3

არამატერიალური აქტივების შესყიდვა

33

საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები

36

ფინანსური აქტივობები

გადახდილი საიჯარო ვალდებულება

(25)

მიღებული პროცენტი

308

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი

283

სახსრები

ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ანდ ფულის ეკვივალენტებში

(1,047)

ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში

21,185

კურსთაშორისი სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე

-

ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს

20,138

თამარ ჩხაიძე

დირექტორი

ვახტანგ ტუკვაძე

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

შპს "სთარინგ ჯორჯია"

თარიღი: 17 ნოემბერი, 2025

ნინო პაპიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი ბუღალტერი

შპს "სთარინგ ჯორჯია"

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 13 ნოემბერს დასრულებული პერიოდისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2024 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით	96,429	8,271	37,331	(8,210)	133,822
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	-	-	(35)	(35)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	96,429	8,271	37,331	(8,245)	133,787

თამარ ჩხაიძე
დირექტორი

ვახტანგ ტუკვაძე
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

შპს "სთარინგ ჯორჯია"
თარიღი: 17 ნოემბერი, 2025

ნინო პაპიშვილი
ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი ბუღალტერი

შპს "სთარინგ ჯორჯია"

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 13 ნოემბერს დასრულებული პერიოდისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2024 წლის 13 ნოემბრის შდგომარეობით	96,429	8,271	37,331	(8,210)	133,822
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	-	-	(35)	(35)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის შდგომარეობით	96,429	8,271	37,331	(8,245)	133,787

თამარ ჩხაიძე
დირექტორი

შპს "სთარინგ ჯორჯია"
თარიღი: 17 ნოემბერი, 2025

ვანტან ტუგვაძე
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

ნინო პაპიშვილი
ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი ბუღალტერი

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს "სთარინგ ჯორჯია" (შემდგომში "კომპანია") არის "შეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და შპს "ბლექ სი არენა ჯორჯიას" (ს/ნ 405158804) და შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" (ს/ნ 203836625) გაერთიანების გზით შერწყმის შედეგად შექმნილი სამეწარმეო საზოგადოება (იურიდიული პირი). კომპანია იურიდიული პირების რეესტრში

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კულტურის, ხელოვნებისა და გართობის სფეროში საქმიანობა, ღონისძიებების ორგანიზება, საკონცერტო დარბაზების მართვა, კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით ღრეობით სარგებლობაში გადაცემა, სარესტორნო, საკვებითა და სასმელებით მომსახურება, ელექტორნული ბილეთების რეალიზაცია და ამგვარი მომსახურების გაწევა, კანონით აუკრძალავი ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა მოგების მიღების მიზნით.

კომპანიის საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს წარმოადგენს სოფელ ნატანებში არსებული საკონცერტო დარბაზი, ხოლო სათაო ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მერაბ ალექსიძის ქ. #1.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან მეწილეს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფო (203840433), ხოლო 2022 წლის 27 ივლისიდან წილის მმართველია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (205438622). სწორედ მას ეკისრება კომპანიის სტრატეგიული ამოცანების განსაზღვრისა და მიმდინარე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ზედამხედველობა.

კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის, შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც, საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ათას ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 აგვისტოს #1150 განკარგულების საფუძველზე, შპს "ბლექ სი არენა ჯორჯიასა" და შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" შერწყმის საფუძველზე შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს "სთარინგ ჯორჯია". შპს "სთარინგ ჯორჯია" განისაზღვრა შპს "ბლექ სი არენა ჯორჯიასა" და შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" უფლებამონაცვლედ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პერიოდისათვის 2024 წლის 13 ნოემბრიდან 2024 წლის 31 დეკემბერის პერიოდისათვის.

წინადაბარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ".

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე, მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. შეფროები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

3 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

- ბასს 1-ის შესწორებები: "ვალდებულებების კლასიფიცირება მოკლევადიანად ან გრძელვადიანად" და "გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით"

ეს შესწორებები ერთობლიობაში გავლენას ახდენს ვალდებულების კლასიფიკაციაზე მოკლევადიანად ან კოვენანტების მქონე გრძელვადიან ვალდებულებად ("გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით"), ასევე კომპანიის მიერ გამოშვებული კონვერტირებადი იმ სავალო ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რომელსაც გააჩნია კონვერტაციის პირობა. ეს ცვლილება რეტროსპექტულად არის გამოყენებული. ამ ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია კომპანიის სესხებისა და ვალდებულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

3 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (გავრცელება)

- ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები: “მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები”
ზემოაღნიშნული ცვლილება გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, თუმცა, მან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება გამოიწვია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში კომპანიის მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმების ხასიათის ასახსნელად.

4 სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

შემდეგი სტანდარტები და შესწორებები ჯერ არ არის ძალაში შესული, მაგრამ შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ა) ფასს 9-ისა და ფასს 7-ის შესწორებები- ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების შესწორებები

ეს შესწორებები ცვლის მოთხოვნებს იმის შესახებ, როდის შეიძლება შეწყდეს ფინანსური ვალდებულების აღიარება, თუკი ვალდებულება დაიფარა ელექტრონული გადახდების სისტემის მეშვეობით, ან როდის შეიძლება, რომ ფულადი ნაკადები მიჩნეული იყოს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდად და, მაშასადამე, შესაძლებელი გახდეს ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ კატეგორიად.

მართალია, კომპანიას ჯერ არ დაუსრულებია ზემოაღნიშნული ცვლილებების ზემოქმედების შედეგების შეფასება, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროსთან დაკავშირებულმა ცვლილებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსურ ვალდებულებებზე, თუმცა, ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ცვლილება გავლენას არ იქონიებს კომპანიაზე.

ბ) ფასს 18 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 1-ს – “ფინანსური ანგარიშგების წარდგენა”. მართალია, ბევრი მოთხოვნა უცვლელი დარჩება, მაგრამ ახალი სტანდარტი მაინც გავლენას მოახდენს მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარდგენაზე და, შესაბამისად, არაპირდაპირ გავლენას იქონიებს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზეც. ამასთან, ახალი სტანდარტი მოითხოვს სუბიექტის საქმიანობის შედეგების ამსახველი ისეთი მაჩვენებლების გამჟღავნებას, რომლებიც არ მოითხოვება ფასს სტანდარტებით, არამედ ხელმძღვანელობის მიერ არის განსაზღვრული, მაგრამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებასა და მის შენიშვნებში ასახული ინფორმაციის/მონაცემების აგრეგირებისა და ღეზაგრეგირების დონეზე.

ფასს 18 ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის და გამოიყენება რეტროსპექტულად. ორგანიზაცია ამჟამად აფასებს, რა გავლენას იქონიებს ორგანიზაციაზე ფასს 18-ის ამოქმედება.

დღეისთვის არ არსებობს სხვა ახალი სტანდარტი ან შესწორებების დოკუმენტი, რომელიც სავარაუდოდ არსებით გავლენას იქონიებს კომპანიაზე.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

5.1 წარსადგენი ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

5.2 უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 წლის 31 დეკემბერს და 2024 წლის 13 ნოემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	31-დეკ-24	13-ნოე-24
აშშ დოლარი	2.8068	2.8068
ევრო	2.9306	2.9306
გირვანქა სტერლინგი	3.5349	3.5349
პოლონური ზლოტი	0.6868	0.6669

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

5.3 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება რათა არ მოხდეს მათი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

5.4 ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

დაუმთავრებელი მშენებლობა

დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება, იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და, ასევე, სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისთვის.

ცვეთა

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ საშუაშო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30-55
სპეციალური ტექნიკა და ინვენტარი	5-10
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
მანქანა-დანადგარები	10-25
სხვა	5-10

5.5 არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს. განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

5.5 არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

ამორტიზაცია გამოითვლება აქტივის თვითღირებულების მიხედვით, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ამორტიზაცია, როგორც წესი, აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში, დაკორექტირდება.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
პროგრამული უზრუნველყოფა	10
ლიცენზიები	10

5.6 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ რეალურ ღირებულებას შორის უდიდესი.

აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომელიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით.

5.7 მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგი გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

5.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში:

- 1) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SSPI);
- 2) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და;
- 3) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL);

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი და გაითვალისწინება წარმოდგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს (SSPI). თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SSPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SSPI მოთხოვნას და არის ისეთი პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც კომპანია ფლობს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისათვის, ისე გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SSPI-ს მოთხოვნებს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SSPI პირობების შეფასებისას.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

5.8 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამოზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში. კომპანია სავალო ინვესტიციებს კლასიფიკაციას უცვლის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

აღიარება და აღიარების შეწყვეტა

კომპანიამ უნდა აღიაროს ფინანსური აქტივი ან ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო პირობების ერთ-ერთი მხარე. ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების აღიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ შეისყიდოს ან გაყიდოს აქტივს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივებიდან, ვადა გაუვა ან სხვას გადასცემს და ამავე დროს გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი.

კომპანია ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არსებითად განსხვავებული პირობებით, აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და აღიარება ახალი ვალდებულების. ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და აღიარება ახალი ფინანსური ვალდებულების. განსხვავება შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, გადაცემული/აღებული არაფულადი აქტივების/ვალდებულებების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში).

ღირებულების განსაზღვრა

საწყისი აღიარებისას კომპანია ფინანსური აქტივის ღირებულებას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევაში როცა ფინანსური აქტივი არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით (FVPL), ტრანზაქციის დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენაზე ემატება ღირებულებას. ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც აღიარებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით, გარიგების დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

გარიგების დანახარჯები არის წმინდა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. წმინდა დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ იქნებოდა, თუ მოცემული ოპერაცია არ განხორციელდებოდა. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (რწმუნებულების) (მათ შორის, გაყიდვის აგენტების რანგში მოქმედი დაქირავებული პირების), კონსულტანტების, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საზღაურსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, ასევე გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო ფინანსური ინსტრუმენტების პრემიებსა და დისკონტებს, დაფინანსების დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ან ფლობის დანახარჯებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ფინანსური აქტივები მასში ჩანერგილი წარმოებულებით განიხილება ერთობლიობაში, რათა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირისა და პროცენტის მიღებას. სავალო ინსტრუმენტების შემდგომ შეფასება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და აქტივების ფულადნაკადობრივი მახასიათებლების მართვას. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

5.8 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

- **ამორტიზირებული ღირებულება** აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი შემოსულობები და დანაკარგების აღიარება ხდება პირდაპირ მოგება-ზარალში. გაუფასურების ხარჯები ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.

- **FVOCI** აქტივები, რომლის ფლობის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და გაყიდვა და ამავე დროს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირს და პროცენტს წარმოადგენს ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI). ყველა ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურებასთან დაკავშირებული შემოსულობის/ზარალისა, საპროცენტო შემოსავლისა და საკურსო სხვაობებისა, რაც აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას ამ პერიოდამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა/ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალის უწყისში. ასეთ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

- **FVPL** აქტივები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამორტიზირებული ღირებულებების ან FVOCI-ის კრიტერიუმებს ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVPL).

წილობრივი ინსტრუმენტები. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

გაუფასურება

კომპანია იყენებს ფასის 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

კომპანიის ფინანსური აქტივები ყველა წარდგენილი ანგარიშგების თარიღისთვის ხდება იმ კატეგორიაში რომელიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით და მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: 1) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და 2) სხვა ფინანსური ვალდებულებები.

გასაყიდად ფლობილი წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, ცვლილებები რეალურ ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა (FVPL).

ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებაში ცვლილებები, იმ დროს როდესაც კომპანია იყენებს FVPL-ს მოდელს, შეუქცევადად აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (OCI), თუ:

- სხვა სრულ შემოსავალში წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის მოგება-ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამობებს; ან
- ვალდებულება არის სავალო ვალდებულება ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: 1) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას; 2) დეფოლტისას; 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრებისას

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

5.9 სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. მოთხოვნა კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

5.10 გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკუროს სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

5.11 სავაჭრო კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით

5.12 იჯარა

კომპანია იჯარით ფლობს სპეციალურ ტენიკასა და ინვენტარს. აღნიშნულთან დაკავშირებით იჯარის ხელშეკრულებები ფორმდება 3 წლამდე ვადით, მაგრამ შეიძლება მოიცავდნენ ურთიერთობების გახანგრძლივების შესაძლებლობასაც.

უძრავი ქონებასთან დაკავშირებულ იჯარების შემთხვევაში, როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს, არ ხორციელდება საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტების გამოყოფა და სრულად განიხილება როგორც ერთიანი იჯარის კომპონენტი.

იჯარის პირობები ყოველი ცალკეული კონტრაქტისათვის ინდივიდუალური მოლაპარაკებების საგანია. ეს შეთანხმებები არ მოიცავენ რაიმე შემზღუდველ პირობებს (კოვენანტებს) გარდა იჯარით აღებული აქტივების უსაფრთხოებისა. აგრეთვე, დაუშვებელია მათი გამოყენება სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით. 2019 წლამდე, ფინანსურ ანგარიშგებებში იჯარა წარდგენილი იყო როგორც საოპერაციო ღირებულება (ვინაიდან საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემას ადგილი არ ჰქონია კომპანიისათვის, როგორც მოიჯარისათვის). ამგვარ იჯარებთან დაკავშირებული გადახდები, საიჯარო ურთიერთობის განმავლობაში, წრფივად აისახებოდა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

2019 წლის 1 იანვრიდან (ფასს-ზე გადასვლის თარიღი) იჯარები აღიარებულია როგორც გამოყენების უფლებით არსებული აქტივები და შესაბამისი ვალდებულებები.

იჯარიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად იზომება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებების წმინდა მიმდინარე ღირებულება მოიცავს (მათი არსებობის შემთხვევაში) შემდგომ სასაღებურს:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის, არსებითად ფიქსირებული გადახდები), წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით;
- ნარჩენი ღირებულების გარანტიები, რომლებიც მეიჯარისთვის გარანტირებულია მოიჯარის მიერ, მოიჯარესთან დაკავშირებული მხარის მიერ, ან მეიჯარისგან დამოუკიდებელი ნებისმიერი მესამე მხარის მიერ, რომელსაც შეუძლია ამ საგარანტიო ვალდებულების ფინანსურად შესრულება;
- საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების გამოყენების ფასი, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

5.12 იჯარა (გაგრძელება)

- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის გათვალისწინებული ჯარიმები, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლების გამოყენებას.

ვალდებულების გაზომვისას ასევე გაითვალისწინება ის გადახდები, რომლებიც განხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაგრძელების შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელის ხდომილობა მართლზომიერად სარწმუნოა.

სახდელები დისკონტირდება იჯარაში განთავსებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუკი ამგვარი განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, როგორც ეს კომპანიის იჯარების უმრავლეს შემთხვევაშია, გამოიყენება მოიჯარის (კომპანიის) ზღვრული სასესხო განაკვეთი. ზღვრული სასესხო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

იჯარის სახდელები იყოფა ძირის დაფარვად და ფინანსურ ხარჯად. ფინანსური ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იჯარის მოქმედების განმავლობაში.

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ გაზომვას;
- იჯარის დაწყებამდე განხორციელებულ გადახდებს;
- სხვა რაიმე პირდაპირ დანახარჯებსა; და
- აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით, სასიცოცხლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმცირეს პერიოდზე. თუ კომპანიის მიერ აქტივის გამოსყიდვის, კონტრაქტით გათვალისწინებული, ოფციის გამოყენება მართლზომიერად სარწმუნოა, გამოყენების უფლებით არსებული შესაბამისი აქტივის ცვეთის ვადად განისაზღვრება მისი სასიცოცხლო ვადა.

აღჭურვილობისა და ავტომობილების, აგრეთვე, მცირეფასიანი აქტივების მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული სახდელები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით. მოკლევადიანად განიხილება იჯარები, რომელთა ხანგრძლივობაც არ აღემატება 12 თვეს.

ცვლადი საიჯარო სახდელები

კომპანიას არ გააჩნია საიჯარო ურთიერთობები, რომლებიც მოიცავს ცვლად სახდელებს.

საიჯარო ურთიერთობების გახანგრძლივებისა და შეწყვეტის უფლებები

იჯარის ზოგიერთი ხელშეკრულება მოიცავს შეთანხმებულ გახანგრძლივებისა და შეწყვეტის უფლებებს. ეს დათქმები გამიზნულია აქტივების მართვის, კერძოდ მათი ოპერაციული მოქნილობის მაქსიმიზაციისაკენ. ამგვარი უფლებების უმრავლესობა წარმოადგენს კომპანიას ექსკლუზიურ პრეროგატივას.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა გარემოებას, რომელიც ბადებს ეკონომიკურ მოტივაციას გახანგრძლივდეს არსებული ურთიერთობა ანდა არ იქნას გამოყენებული შეწყვეტის უფლება. აღრიცხულ იჯარის ვადებში გახანგრძლივებისა და შეწყვეტის ვადები (პერიოდები) გაითვალისწინებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მართლზომიერად სარწმუნოა ამ კონტრაქტუალური უფლებების გამოყენება.

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე იაჯრები

დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივებს და იჯარებს, რომელთა ვადა იწუერება სტანდარტის პირველადი გამოყენებიდან მომდევნო 12 თვეში, კომპანია არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებად. კომპანია ასეთ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძველით.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

5.13 მოგების გადასახადი

2016 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ რომლის მიხედვითაც კომპანიები, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოკეტივები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები

კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები

2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

5.14 კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

5.15 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15-ის მოთხოვნების მიხედვით კომპანია აღრიცხავს შემდეგი სახის შემოსავლებს: ბილეთების რეალიზაცია, სარესტორნო და ბარების მომსახურება, შემოსავალი სპონსორობიდან, საკონცერტო დარბაზისა და სხვა კომერციული ფართების გაქირავება.

კომპანია შემოსავლებს ბილეთების რეალიზაციიდან იღებს წლის განმავლობაში ჩატარებული კონცერტის ბილეთების რეალიზაციიდან. შემოსავალი აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მომხმარებელზე ხდება კონკრეტული კონცერტის ბილეთის რეალიზაცია. ზოლო კონკრეტული კონცერტის გაუქმების შემთხვევაში ხდება გაყიდული ბილეთის ღირებულების დაბრუნება მომხმარებელზე.

შემოსავალი საკვები და სასმელის მიწოდებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს.

სარეკლამო და სხვა მარკეტინგული მომსახურებების შემთხვევაში, შემოსავალი აღიარდება დროის გასვლის შემდეგ შედეგების მეთოდის გამოყენებით, შემოსავალი აღიარდება კონტრაქტის საფუძველზე შეთანხმებული გარიგების ფასით.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

5.15 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან (გაგრძელება)

ამონაგებს მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან კომპანია აღიარებს მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან საქონლის ან მომსახურების კონტროლის გადაცემისას მომხმარებლებზე იმ ღირებულებით, რომელიც ასახავს იმ საზღაურს, რომლის გადახდასაც კომპანია მოელის გადაცემული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, რომდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება.

საიჯარო შემოსავალი აღიარდება შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის განმავლობაში. გაცემული საიჯარო შეღავათები აღიარდება მთლიანი საიჯარო შემოსავლის განუყოფელი ნაწილის შემოსავლის სახით, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში.

კომპანია ყველა ოპერაციაში გამოდის პრინციპალის სახით.

კომპანია მომხმარებლებს არ სთავაზობს გარანტიებს, გადახდილი თანხის ანაზღაურების და პროდუქციის დაბრუნების უპირობო უფლებას. ჯგუფი არ გეგმავს ისეთი გარიგებების განხორციელებას, რომლის შემთხვევაშიც პერიოდი პროდუქციის კლიენტისთვის გადაცემის მომენტიდან ღირებულების ანაზღაურებამდე აღემატება ერთ წელს.

- **საკონტრაქტო აქტივები** როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს საქონელს/მომსახურებას მომხმარებლის მიერ საქონლის საფასურის გადახდამდე ან გადახდის ვადის მოსვლამდე, კომპანია გარიგებას აღრიცხავს როგორც კონტრაქტულ აქტივს, გარდა იმ თანხისა, რომელიც წარმოდგენილია როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება;

- **საკონტრაქტო ვალდებულებები** მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები ან კომპანიის უპირობო უფლებები საქონლის გადაცემამდე კლიენტებისგან კომპენსაციის მიღებაზე აღიარდება როგორც კონტრაქტული ვალდებულებები. კონტრაქტული ვალდებულებები აღიარდება ავანსის გადახდისას ან გადახდის ვადის დადგომისას (ამ ორიდან რომელიც უფრო ადრე მოხდება). კონტრაქტული ვალდებულებები წარმოადგენენ კომპანიის ვალდებულებას, მომხმარებლებს გადასცენ საქონელი, რომლის სანაცვლოდაც კომპანიას მიღებული აქვს კომპენსაცია (ან კომპენსაციის გადახდის ვადა დამდგარია).

5.16 სახელმწიფო გრანტების აღიარება

სახელმწიფო გრანტი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გაწეულ დახმარებას საწარმოსათვის რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ. სახელმწიფო გრანტები არ აღიარდება მანამ, სანამ არ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა იმისა, რომ კომპანია შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს და გრანტი იქნება მიღებული. სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, აღიარდება რეალური ღირებულებით მაშინ, როცა არსებობს დამაჯერებელი რწმენა იმისა, რომ: ა) საწარმო შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს; და ბ) გრანტი იქნება მიღებული.

შემოსავლებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები, რომელიც მიღებულია გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, აღიარებულია იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას. ასეთი გრანტები აისახება, როგორც მოგების ან ზარალის ნაწილი, ან ცალკე მუხლის სახით, ან საერთო სახელწოდებით „სხვა შემოსავალი“.

5.17 სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმენა, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

5.18 ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

5.19 ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

5.20 კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ეკვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულებების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად. ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

6 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა

კომპანიის უნარის შეფასება განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ არარელევანტურია რეორგანიზაციის საფუძველზე, კერძოდ:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციული უფროსის 2024 წლის 5 ნოემბრის ბრძანება #GOV32400001271-ის საფუძველზე, განხორციელდა შპს "ბლექ სი არენა ჯორჯიას" (ს/ნ 405158804) და შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" (ს/ნ 203836625) გაერთიანების გზით რეორგანიზაცია/შერწყმა და დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საფირმო სახელმწიფოებით - შპს "სთარინგ ჯორჯია" (ს/ნ 405158804). აღნიშნულის საფუძველზე შპს "სთარინგ ჯორჯია" განისაზღვრა შპს "ბლექ სი არენა ჯორჯიას" და შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" უფლებამონაცვლედ. "სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საწარმოს სახელმწიფო საკუთრებაში არებული 100%-იანი წილი, მართვის უფლებით, უსასყიდლოდ, პირდაპირი გადაცემის ფორმით, არსებობის ვადით გადაეცა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. თუ აქტივის გამოყენების ვადა შეზღუდულია რაიმე სახის საკონტრაქტო ვალდებულებით, მისი გაცვეთა ხდება საკონტრაქტო პერიოდზე.

საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

გადახდილი ავანსების გაუფასურება

იმ შეფასებული ზარალის აღსარიცხად, რომელიც წარმოიშობა, როდესაც მომწოდებელი ვერ ახერხებს შეთანხმებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებას, კომპანია ქმნის ანარიცხს. მოსალოდნელი ზარალის საკმარისი დონის შეფასებისას, მენეჯმენტი გათვლებს აფუძნებს ზოგად მიმდინარე ეკონომიკურ გარემოებებზე, მომწოდებლის საიმედოობაზე და კონტრაქტის პირობებზე. ეკონომიკური ან კონკრეტული მომწოდებლის გარემოებების ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ზარალის კორექტირება.

7 ძირითადი საშუალებები, წმინდა

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	ტრანსპორტი	სხვა	სულ
<i>პირვანდელი ღირებულება</i>						
13 ნოემბერი, 2024	91,225	50,397	874	1,217	6,809	150,522
შემოსვლა	-	-	3	-	-	3
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2024	91,225	50,397	877	1,217	6,809	150,525
<i>აკუმულირებული ცვეთა</i>						
13 ნოემბერი, 2024	(4,146)	(28,359)	(349)	(139)	(4,391)	(37,384)
ცვეთის ხარჯი	(103)	(675)	(12)	(16)	(63)	(869)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2024	(4,249)	(29,034)	(361)	(155)	(4,454)	(38,253)
<i>საბალანსო ღირებულება</i>						
13 ნოემბერი, 2024	87,079	22,038	525	1,078	2,418	113,138
31 დეკემბერი, 2024	86,976	21,363	516	1,062	2,355	112,272

8 აქტივის გამოყენების უფლება

	მიწა	სპეციალური ტექნიკა და ინვენტარი	სულ
<i>პირვანდელი ღირებულება</i>			
13 ნოემბერი, 2024	-	1,436	1,436
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი, 2024	-	1,436	1,436
<i>აკუმულირებული ცვეთა</i>			
13 ნოემბერი, 2024	-	(445)	(445)
ცვეთის ხარჯი	-	(74)	(74)
31 დეკემბერი, 2024	-	(519)	(519)
<i>საბალანსო ღირებულება</i>			
13 ნოემბერი, 2024	-	991	991
31 დეკემბერი, 2024	-	917	917

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებით სარგებლობს 2023 წლის პერიოდში იჯარით აღებული გენერატორებისათვის.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული თანხები:

	1-იან-2024 - 13-ნოე-2024
გამოყენების უფლებით მიღებული აქტივების ცვეთის ხარჯი	74
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	25
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი	7

9 სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31-დეკ-24	13-ნოე-24
ელექტრო საქონელი	645	633
დამხმარე მასალები	910	897
სათადარიგო ინვენტარი	465	488
საწვავი	45	46
ბარის მარაგები	89	91
სასაქონლო მატერიალური მარაგები	2,154	2,155
ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე შემცირება	(708)	(708)
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	1,446	1,447

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-24	13-ნოე-24
სავაჭრო მოთხოვნები	8,131	8,899
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(6,632)	(8,008)
სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო	1,499	891
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	460	460
ავანსების გაუფასურების რეზერვი	(608)	(455)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,351	896

11 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-24	13-ნოე-24
საღარიბოში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	-	11
ბანკში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	19,273	19,965
ბანკში არსებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	865	1,209
სული ფული და ფულის ეკვივალენტები	20,138	21,185

12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით შეადგენს 96,429 ლარს. 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით, სარეზერვო კაპიტალი შეადგენს 37,331 ლარს.

დამატებით შეტანილი კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით წარმოადგენს 2007 წლის 27 ივლისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „ინტერნეიშენალ ივენთს“-ს შორის, შპს „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი“-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლების გადაცემის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, მმართველი კომპანიის - „ინტერნეიშენალ ივენთს“-ის მიერ განხორციელებულ არაფულად და ფულად ინვესტიციას, 8,271 ლარის ოდენობით, რომელიც ითვალისწინებდა საკონცერტო დარბაზის მოწყობას.

13 საიჯარო ვალდებულებები

	გენერატორები
13 ნოემბერი, 2024	701
საპროცენტო ზარჯი	25
იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებების დაფარვა	(25)
საკურსო სხვაობა	6
31 დეკემბერი, 2024	707

14 გადავადებული შემოსავალი

კომპანია წინასწარგანსაზღვრული ბიუჯეტის ფარგლებში, სუბსიდირდება სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოდან რომელიც თავის მხრივ არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვეშ.

აღნიშნული დაფინანსები ფარგლებში 2022 წელს კომპანიამ მიიღო 70,000 2023-2024 წლებში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზების მიზნით. აღნიშნული თანხა მოიცავს, როგორც არტისტების ჰონორარებს, ასევე ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. მიმდინარე პერიოდის ნაშთი წარმოადგენს 2024 წლის შესაბამისი ხარჯების სუბსიდიას.

შპს "ბლექ სი არენა ჯორჯიას" 2022 წელს მიღებული ჰქონდა სახელმწიფო სუბსიდია 70,000 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მიღებული იყო 2023 და 2024 წლების საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად. შერწყმის შემდეგ, კომპანიამ, 2024 წლის 13 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში შემოსავალში სისტემურ საფუძველზე აღიარა ამავე პერიოდში გაწეული ხარჯის შესაბამისი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრა 1,925 ათასი ლარით.

15 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-24	13-ნოე-24
სავაჭრო ვალდებულებები	1,410	1,202
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	7	46
მიღებული ავანსები	124	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,541	1,248

16 პირობითი ვალდებულებები

16.1 გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მივიჩნევთ, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა 2024 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

16.2 სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად.

17 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაბამისი რისკები.

კომპანიის ძირითად ფინანსურ ვალდებულებას წარმოადგენს სავაჭრო კრედიტორული დავალიანება. კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია სავაჭრო მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები არ წარმოადგენს მნიშვნელოვანი რისკის მატარებელს და შესყიდვები კი ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

17 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

17.1 საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

	31-დეკ-24	13-ნოე-24
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,351	896
ფული და ფულის ეკვივალენტები	20,138	21,185
სულ ფინანსური აქტივები	21,489	22,081

კომპანიის მენეჯმენტი საკმაოდ სპეციფიკიდან გამომდინარე საკრედიტო რისკს არ განიხილავს მნიშვნელოვან ფინანსურ რისკად.

17.2 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

17.3 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	დოლარი	ევრო	პოლონური ზლოტი	სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,351	-	-	-	1,351
ფული და ფულის ეკვივალენტები	19,273	112	753	-	20,138
სულ ფინანსური აქტივები	20,624	112	753	-	21,489
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	620	140	781	-	1,541
საიჯარო ვალდებულება	-	-	707	-	707
სულ ფინანსური ვალდებულებები	620	140	1,488	-	2,248
სავალუტო რისკის წმინდა პოზიცია	20,004	(28)	(735)	-	19,241

17 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

17.3 სავალუტო რისკი (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2024 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	დოლარი	ევრო	პოლონური ზლოტი	სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	896	-	-	-	896
ფული და ფულის ეკვივალენტები	19,972	313	900	-	21,185
სულ ფინანსური აქტივები	20,868	313	900	-	22,081
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	244	45	959	-	1,248
საიჯარო ვალდებულება	-	-	701	-	701
სულ ფინანსური ვალდებულებები	244	45	1,660	-	1,949
სავალუტო რისკის წმინდა პოზიცია	20,624	268	(760)	-	20,132

კომპანიას არ აქვს ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული არსებითი რისკები.

17.4 საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. კომპანიას არ აქვს სასესხო ვალდებულებები.

17.5 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ფულადი ნაკადების მართვის მიზანია, რომ მუდმივად იქონიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები.

ლიკვიდურობის რისკი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	1,351	-	-	1,351
ფული და ფულის ეკვივალენტები	20,138	-	-	20,138
სულ ფინანსური აქტივები	21,489	-	-	21,489
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,541	-	-	1,541
საიჯარო ვალდებულება	325	382	-	707
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,866	382	-	2,248
ლიკვიდურობის პოზიცია	19,623	(382)	-	19,241

17 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)
17.5 ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი 2024 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	896	-	-	896
ფული და ფულის ეკვივალენტები	21,185	-	-	21,185
სულ ფინანსური აქტივები	22,081	-	-	22,081
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,248	-	-	1,248
საიჯარო ვალდებულება	701	-	-	701
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,949	-	-	1,949
ლიკვიდურობის პოზიცია	20,132	-	-	20,132

17.6 რეალური ღირებულება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე.

17.7 კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნებია კაპიტალის მართვისას შემდგომში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

18 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის მესაკუთრეა 100% წილის მფლობელი სახელმწიფო.

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც "ანგარიშვალდებული საწარმო").

- ა) პირი ან მისი ოჯახის წევრი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:
- (i) ეს პირი აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს;
 - (ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
 - (iii) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.
- ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:
- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
 - (ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
 - (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;
 - (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმო;
 - (v) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დაქირავებულებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

18 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) (ა) (i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემაგალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.
- კომპანიის ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ:

ზარჯი

13-ნოე-2024 -
31-დეკ-2024

უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასი

22

19 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის 13 მაისის საქართველოს კულტურის სამინისტროს #00022532 ბრძანების თანახმად შპს "სთარინგ ჯორჯიას" (ს/კ: 404747743) კაპიტალში შეტანილ იქნა შპს "სერვის-7-ის" (ს/ნ: 204532899) 100%-იანი წილი, რის შედეგადაც შპს "სთარინგ ჯორჯიას" კაპიტალი განისაზღვრა 169,494 ათასი ლარის ოდენობით.

მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

მმართველობითი ანგარიშგება

1.	ინფორმაცია კომპანიის შესახებ	27
2.	ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	27
3.	სუბიექტის განვითარების გეგმები	28
4.	კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	28
5.	ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	29
6.	წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.	29
7.	ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	29

შპს „სტორინგ ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს სთარინგ ჯორჯია (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია თამარ ჩხაიძე, დირექტორის დანიშვნასა და გათავისუფლებაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კულტურის სამინისტრო. კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კულტურის, ხელოვნების და გართობის ინდუსტრიის სფეროში საქმიანობა. „ბლექ სი არენას“ და თბილისის სახელმწიფო საკონცერტო (ფილარმონია) დარბაზებში, ასევე საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციებზე იმართება მსოფლიო აღიარების მქონე ვარსკვლავთა და ასევე ადგილობრივი არტისტების და მუსიკალური ჯგუფების წარმოდგენები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას, ტურისტული პოტენციალისა და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას.

კომპანიის სტრუქტურა


კომპანიის დირექტორი 2024 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო ტარიელ ხარჩილავა, ხოლო 2024 წლის 13 ნოემბრიდან თამარ ჩხაიძე.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის 13 ნოემბრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის საანგარიშგებო პერიოდისათვის ჯამურმა შემოსავალმა შეადგინა 2,282 ათასი ლარი, ხოლო შპს „ბლექ სი არენა ჯორჯიასთვის“ 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 13 ნოემბრამდე ჯამურმა შემოსავალმა შეადგინა 25,132 ათასი ლარი. 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შპს „ბლექ სი არენა ჯორჯიასთვის“ ანალოგიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 68,024 ათასი ლარი.

თანდართულ გრაფიკზე მოცემულია შემოსავლების დინამიკა:



2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ძირითადი კოეფიციენტები	2024 წლის 13 ნოემბერი - 2024 წლის 31 დეკემბერი
სულ შემოსავალი	2,282
სულ აქტივები	136,442
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	202

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „ბლექ სი არენა“-ს და შპს „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი“-ს შერწყმის შედეგად (2024 წლის 13 ნოემბერი), შპს „სთარინგ ჯორჯია“-ს პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა და გახდა 202. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

როგორც დამქირებელი, შპს „სთარინგ ჯორჯია“ სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. კომპანიის მენეჯმენტი და დამფუძნებლები პასუხისმგებლობით უდგებიან ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების დაცვა.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანიას ღონისძიებების ორგანიზებაში და მსოფლიო დონის ვარსკვლავებთან ურთიერთობაში ძირითადად პარტნიორობას უწევს შემდეგი კომპანიები: Live Nation Israel, Blustone Group და სხვა. კომპანიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე დასწრების შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ მსურველს. ასეთი მასშტაბის ღონისძიებები ხელს უწყობს ტურიზმის სფეროს განვითარებას.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან

კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიას საგადასახადო შემოწმება დაარსების დღიდან ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე პერიოდში არ გაუვლია.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიაში მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარების სააგენტოს და პროცესში ჩართულ სხვა მხარეებთან თანამშრომლობით შემუშავდეს ისეთი მოდელი რაც შესაძლებელს გახდის მაღალი დონის ღონისძიებების ორგანიზებას წელიწადის ყველა დროს და ამავდროულად მოიზიდავს მაყურებელს როგორც ქვეყნის შიგნიდან ასევე რეგიონის მასშტაბით.

ახალი მომხმარებლების მოზიდვა

კომპანია მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს ღონისძიებების ხარისხი და მაყურებლებს შესთავაზოს ხარისხიანი სანახაობა, რაც ხელს უწყობს მეზობელი ქვეყნებიდან ტურისტების მოზიდვას.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვა

კომპანია მუდმივად ადევნებს თვალს სიახლეებს შოუბიზნესის სფეროში, მუდმივად ზრუნავს აპარატურის განახლებასა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რათა ნებისმიერი მსოფლიო დონის ვარსკვლავისთვის შესაძლებელი და სასურველი იყოს „ბლექ სი არენასა“ და თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზებში, ასევე მთელი საქართველოს მასშტაბით ღონისძიებების გამართვა.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

	31-დეკ-2024	13-ნოე-2024	31-დეკ-2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	20,138	20,973	31,681
გადავადებული შემოსავალი	407	2,332	21,164

შენიშვნა #1:

2022 წლის დეკემბერში კომპანიამ მიიღო სახელმწიფო სუბსიდია (70,000 ლარი), რომელიც მიეკუთვნება 2023-2024 წლებში ჩასატარებელი კონცერტების სუბსიდირებას.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და

პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2024	2023
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,736	3,736
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	30.5	25.0
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	8,210.1	6,731.2
მშპ-ის რეალური ზრდა, %	7.5%	11%
საშუალო წლიური ინფლაცია	2.5%	11.9%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,594.7	2,097.9
უმუშევრობის დონე, %	16.4%	17.3%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, გამომდინარე იქიდან რომ კომპანიის საოპერაციო შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ბილეთების რეალიზაცია, როგორც წესი გადახდა ხდება მომენტალურად შესყიდვისთანავე. შესაბამისად საკრედიტო რისკი არ არის მნიშვნელოვანი კომპანიისთვის.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს გარდა თავისუფალი ფულადი სახსრებით უცხოურ ვალუტაში არსებული საკრედიტო ხაზის დაფარვის პრიორიტეტულობა, კურსებთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა კომპანიის მიზნები კაპიტალის

მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით. კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 17 ნოემბერს:

თამარ ჩხაიძე	ვახტანგ ტუყვაძე
დირექტორი	ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი
	ნინო პაპიშვილი
	ეკონომიკური ბუღალტერი
	დეპარტამენტის მთავარი

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოემუშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს გარდა თავისუფალი ფულადი სახსრებით უცხოურ ვალუტაში არსებული საკრედიტო ხაზის დაფარვის პრიორიტეტულობა, კურსებთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

კაპიტალის მართვა კომპანიის მიზნები კაპიტალის

მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით. კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 17 ნოემბერს:

თამარ ჩხაიძე

დირექტორი

ვახტანგ ტუკვაძე

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

ნინო პაპიშვილი

ეკონომიკური

ბუღალტერი

დეპარტამენტის

მთავარი